აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიში

საჯარო ინფორმაციის შესახებ

2014 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 24 (ოცდაოთხი) განცხადება. აქედან დაკმაყოფილდა 23 (ოცდასამი) განცხადება, ხოლო ერთ განმცხადებელს უარი ეთქვა ინფორმაციის გაცემაზე იმ მიზეზით, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი მხარის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია შეიცავდა პერსონალური მონაცემების საიდუმლოებას.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებაზე პასუხის გაცემა ძირითადად ხდებოდა ელექტრონული ფორმით.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა დაწესებულებაში არ შემოსულა.

სამინისტროში საჯარო მოსამსახურეების მიერ კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ოქტომბრის N-12/126 ბრძანებით დანიშნული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - ანა მელაშვილი. ხოლო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას უზრუნველყოფს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - რამაზ მესხიძე.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას სამინისტრო ეყრდნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის N-4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ოქტომბრის №12/127 ბრძანებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესს და სხვა მოქმედ კანონმდებლობას.